

2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შპს „აი-ემ-ჯი დეველოპმენტი „

სარჩევი:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6-16

შპს "აი-ემ-ჯი დეველოპმენტი "

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	358 392	400 157
არამატერიალური აქტივები	5	1 012	1 377
საინვესტიციო ქონება	10	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		359 404	401 535
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	7 181	17 843
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	221	774
მარაგები	8	592 208	870 443
წინასწარ გადახდილი გადასახადები		63	4 922
გაცემული სესხები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		599 673	893 982
სულ აქტივები		959 077	1 295 517
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		160 000	160 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(2 018 786)	(2 350 659)
გადაფასების რეზერვი		(23 391)	(23 251)
სულ კაპიტალი		(1 882 177)	(2 213 910)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	1 670 002	2 347 297
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 670 002	2 347 297

მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი სესხები	<u>11</u>	57 816	51 340
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>9</u>	1 112 166	1 110 790
საგადასახადო ვალდებულებები		1 270	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 171 252	1 162 130
სულ ვალდებულებები		2 841 254	3 509 427
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		959 077	1 295 517

გენერალური დირექტორი :
დავით გამყრელიძე

ბუღალტერი :
რუსუდან გელოვნიშვილი

შპს "აი-ემ-ჯი დეველოპმენტი "

კონსოლიდირებული მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის დასრულებული წლისათვის (ლარში)

შენიშვნა	შენიშვნა	2018
ამონაგები	12	882 039
სხვა შემოსავლები		-
მარაგების შესყიდვა		(29 901)
მარაგების ნაშთის ცვლილება		(278234)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(171238)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	(91)
სხვა ხარჯები	15	(3304)
საოპერაციო მოგება		399 270
ფინანსური შემოსავალი		-
ფინანსური ხარჯი	17	(47 976)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(19 475)
მოგება დაბეგვრამდე		331 820
მოგების გადასახადი	18	-
წმინდა მოგება		331 820
სხვა სრული შემოსავალი:		(23 391)
მთლიანი სრული შემოსავალი		308 430

შპს "აი-ემ-ჯი დეველოპმენტი"

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)				
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	160 000	-	(2 350 659)	(2 190 659)
წმინდა მოგება	-	-	331 721	331 721
სხვა სრული შემოსავალი	-	(23 391)		(23 391)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(23 391)	331 721	308 330
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		-
2018 წლის 31 დეკემბერი	160 000	(23 391)	(2 018 939)	(1 882 329)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აი-ემ-ჯი დეველოპმენტი“ წარმოადგენს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 24 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404446649.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონში, ქუჩა აკაკი შანიძე # 2, ქ. თბილისის მელიქიშვილის გამზირი # 16.

ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონში, ქუჩა აკაკი შანიძე # 2, ქ. თბილისის მელიქიშვილის გამზირი # 16.

კომპანია დღეს-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2013 წლის 24 მაისიდან.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის 75 %-იანი წილის მფლობელია შპს „აი-ემ-ჯი“, (რომელიც არ არის მაკონტროლებელი წილი) და 25% იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ირაკლი გურჩიანი.

წესდების თანახმად, კომპანიის კონტროლს აღნიშნული პირები ახორციელებენ ერთობლივად.

კომპანიის დირექტორია დავით გამყრელიძე.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 160 000 ლარს.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 2 ადამიანი.

შპს „აი-ემ-ჯი დეველოპმენტი“ ფლობს შვილობილ კომპანიას შპს „აი-ემ-ჯი სერვისს“, რომელიც დააფუძნა 2014 წლის 23 იანვარს და არის 100%-იანი წილის მფლობელი.

შპს „აი-ემ-ჯი სერვისის“ საქმიანობაა ობიექტების კომპლექსური, დამხმარე მომსახურება.

კომპანიაში დასაქმებულია 5 თანამშრომელი.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს. კომპანია წარადგენს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2018 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით; ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	30 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ საადრიცხო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის (უძრავი ქონების) გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება–ზარალის ანგარიშებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგების

შენიშვნები :

შენიშვნა - 4

ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	ჯამი
(ლარი)					
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	339 120	78 055	23 162	42 912	483 248
შესყიდვა		-	-	677	677
გასვლა		-	-	-	-
გაუფასურება				26 491	26 491
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	339 120	78 055	23 162	17 098	457 435

დაგროვილი ცვეთა

2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	6 492	34 071	9 582	32 946	83 091
ცვეთის ხარჯი	16 956	15 836	2 297	7 353	42 442
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		-	-	26 491	26 491
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	23 448	49 907	11 879	13 809	99 042
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
2017 წლის ბოლოს	332 628	43 984	13 579	9 966	400 157
2018 წლის ბოლოს	315 672	28 148	11 283	3 289	358 392

შენიშვნა - 5

არამატერიალური აქტივები

(ლარი)

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა
2017 წლის ბოლოს	2 439		
შემოსავლა	-		
გასვლა	-		
2018 წლის ბოლოს	2 439	-	-

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა
დაგროვილი ამორტიზაცია			
2017 წლის ბოლოს	1 061		
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	366		
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია			
2018 წლის ბოლოს	1 427	-	-
	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა
საბალანსო ღირებულება			
2017 წლის ბოლოს	1 377	-	-
2018 წლის ბოლოს	1 012	-	-

შენიშვნა -8 მარაგები

(ლარში)

	31/12/2018	31/12/2017
მზა პროდუქცია	515 270	793 413
ნედლეული	6 850	6 850
დაუმთავრებელი წარმოება	70 089	70 089
	592 208	870 443

შენიშვნა-7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	23 612	24 025
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი		(23 391)
	221	774

შენიშვნა-6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

(ლარში)

	31/12/2018	31/12/2017
ფული სალაროში	4 181	5 980
ფული საბანკო ანგარიშებზე	3 000	11 863
	7181	17 843

შენიშვნა-9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(ლარში)

	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო ვალდებულებები	16 119	14 836
გადასახდელი პროცენტები	1 095 954	1 095 954
	1 112 073	1 110 790

შენიშვნა-12**ამონაგები**

(ლარი)	31/12/2018
მზა პროდუქციის რეალიზაცია	746 448
მომსახურების რეალიზაცია	135 591
	882 039

შენიშვნა-14**მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები**

(ლარი)	31/12/2018
სარეკლამო ხარჯები	-
საწვავის ხარჯი	(91)
	91

შენიშვნა-15**სხვა ხარჯები**

(ლარი)	31/12/2018
ქონების გადასახადი	(3 304)
	(3 304)

შენიშვნა-16**ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი**

(ლარი)	31/12/2018
შრომის ანაზღაურება	(80 859)
ცვეთა და ამორტიზაცია	(42 804)
დაზღვევის ხარჯი	(181)
საგადასახადო ხარჯი	-
საკონსულტაციო ხარჯი	(483)

რემონტის ხარჯი	(284)
ბანკის მომსახურება	(2 959)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(542)
იჯარის ხარჯი	(8 084)
მივლინების ხარჯები	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(38 053)
კომუნიკაციის ხარჯები	(5 072)
	(171 238)

შენიშვნა-17 ფინანსური ხარჯი

(ლარი)	31/12/2018
ბანკის სესხის პროცენტი	(47 976)
	(47 976)

შენიშვნა-11 სესხები

(ლარი)	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31/12/2018	31/12/2017	31/12/2018	31/12/2017
ბანკის სესხები	57 816	51 340	599 362	636 445
დაკავშირებული მხარეების სესხები			1070640	1710852
ოვერდრაფტები				
სულ სესხები	57 816	51 340	1 670 002	2 347 297

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2027 წლის 17 ივლისი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 7% (2017 წელს 8%). გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით.

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ექონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბრით.

შპს „აი-ემ-ჯი დეველოპმენტი“-ს დირექტორი
დავით გამყრელიძე

შპს "აი-ემ-ჯი დეველოპმენტი "

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>4</u>	358 392	400 157
არამატერიალური აქტივები	<u>5</u>	1 012	1 377
საინვესტიციო ქონება	<u>10</u>	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		359 404	401 535
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	<u>6</u>	7 181	17 843
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	<u>7</u>	221	774
მარგები	<u>8</u>	592 208	870 443
წინასწარ გადახდილი გადასახადები		63	4 922
გაცემული სესხები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		599 673	893 982
სულ აქტივები		959 077	1 295 517
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		160 000	160 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(2 018 786)	(2 350 659)
გადაფასების რეზერვი		(23 391)	(23 251)
სულ კაპიტალი		(1 882 177)	(2 213 910)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	<u>11</u>	1 670 002	2 347 297
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 670 002	2 347 297

მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი სესხები	<u>11</u>	57 816	51 340
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>9</u>	1 112 166	1 110 790
საგადასახადო ვალდებულებები		1 270	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 171 252	1 162 130
სულ ვალდებულებები		2 841 254	3 509 427
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		959 077	1 295 517

გენერალური დირექტორი :
დავით გამყრელიძე

ბუღალტერი :
რუსუდან გელოვნიშვილი

h. ჭეოვნიშვილი